პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ.პ.(ბ) ც.კ-ის და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП(б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 241 (9401) | ხუთშაბათი, 9 ოქტომბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

## საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის რეზოლუცია

### საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენების გამო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ

(მიღებულია ერთხმად)

მოისმინა და განიხილა რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა ადგენს:

მოწონებულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა.



საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIX ყრილობა. სურათზე: ყრილობის პრეზიდიუმი: (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ბ. არისტოვი, მ. ჯ. ბაგიროვი, კ. ე. ვოროშილოვი, ო. ვ. კუუსინენი, ვ. მ. ანდრიანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. ნიაზოვი, ლ. პ. ბერია, დ. ს. კოროტჩენკო, ნ. ა. ბულგანინი, ჟ. შაიახმეტოვი და ნ. ს. პატოლიჩევი. ტრიბუნაზე — ამხ. გ. მ. მალენკოვი.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა და ვ. ეგოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# ლენინ-სტალინის პარტიის დიადი ერთიანობა

„პრავდის“ მოწინავე

გუშინ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIX ყრილობამ დაამთავრა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების განხილვა.

უდიდესი აღფრთოვანების ვითარებაში ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

**„მოისმინა და განიხილა რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა ადგენს:**

**მოწონებულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა“.**

ყრილობის მიერ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლუციის მიღება გადაიქცა ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ნდობის, სიყვარულისა და ერთგულების მკაფიო და აღმაფრთოვანებელ დემონსტრაციად.

ერთხმად მიღებული რეზოლუციით ყრილობამ შეაჯამა საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობიდან XIX ყრილობამდე განვლილ პერიოდში — მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით აღსავსე პერიოდში—ჩვენი პარტიის მიერ გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ამომწურავი სისრულით არის ნაჩვენები, თუ რა ჭეშმარიტად ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია განვლილ პერიოდში ჩვენმა სამშობლომ პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა სამშობლოს განუხრელი ზრდა შედეგია კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკისა და მისი ორგანიზატორული მუშაობისა ამ პოლიტიკის განსახორციელებლად. ლენინ-სტალინის პარტიამ, როგორც საბჭოთა საზოგადოების წამყვანმა და ხელმძღვანელმა ძალამ, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის დროული მომზადება აქტიური თავდაცვისათვის, წარმართა ხალხის მთელი ღონისძიებანი მტრის გასანადგურებლად დიდი სამამულო ომის წლებში და სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად ომისშემდგომ პერიოდში.

საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, მიოთხე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულება, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და მისი ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება, საბჭოთა კავშირის გარშემო მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის მთელი ძალების მჭიდროდ დარაზმვა — ასეთია მთავარი შედეგები, რომლებიც ადასტურებს ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორეს.

XIX ყრილობა თვალნათლივ ადასტურებს, რომ საანგარიშო პერიოდი იყო პერიოდი პარტიის შემდგომი განმტკიცებისა, პერიოდი პარტიული რიგების სრული ერთიანობის და დარაზმულობის განმტკიცებისა. ჩვენი პარტიის ერთიანობა, რაც მოპოვებულია ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში, პარტიის შინაგანი მდგომარეობის, მისი შინაგანი ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ეს არის ჩვენი პარტიის ძლისა და უძლეველობის წყარო.

პარტიის ყრილობაზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დელეგატებმა, რომლებიც წარმოადგენენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კომუნისტურ პარტიებს, უდიდეს სამხარეო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციებს. გამოხატავდნენ რა მთელი მრავალმილიონიანი პარტიის ნებას, ყრილობის დელეგატები ლაპარაკობდნენ პარტიული რიგების უაღრესად მტკიცე იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დარაზმულობაზე.

თავისი რიგების ურყევ სიმტკიცეს პარტია უნდა უმადლოდეს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს, რომელმაც დაიცვა პარტიის ლენინური ერთიანობა. ყრილობამ ახალი ძალით ცხადყო, რომ პარტიული რიგების ერთიანობა ჩვენი პარტიის სიმტკიცისა და უძლეველობის საფუძველი იყო, არის და იქნება. ყრილობაზე გამოსული უკლებლივ ყველა დელეგატი ამბობდა, რომ პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, XIX ყრილობაზე მოვიდნენ კიდევ უფრო განმტკიცებულნი და ერთიანნი, თავიანთი ცენტრალური კომიტეტის გარშემო ისე დარაზმულნი, როგორც არასოდეს არა ყოფილან.

ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს და განამტკიცა თავისი კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო გამოიწრთო და განმტკიცდა, როგორც სოციალისტური სახელმწიფო, კიდევ უფრო დარწმუნდა თავის ძალებში, თავისი დიადი საქმის უძლეველობაში. ჩვენს დროს განუზომლად გაიზარდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი იდეური ზეგავლენა საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეზე.

ლენინ-სტალინის პარტია გამოდის როგორც სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებისა კომუნიზმისათვის ბრძოლაში. განუზომლად გაიზარდა ჩვენი პარტიის საერთაშორისო ავტორიტეტი, სხვა ქვეყნების მშრომელთა ნდობა და პატივისცემა ჩვენი პარტიისადმი, მისი სტალინური ხელმძღვანელობისადმი. ჩვენი პარტიის ბელადის სახელი, დიდი სტალინის სახელი მთელი პროგრესული კაცობრიობის საუკეთესო იმედებსა და მისწრაფებებს გამოხატავს.

მთელი ჩვენი პარტია უდიდესი კმაყოფილებით შეხვდება XIX ყრილობის რეზოლუციას, რომელიც იწონებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ მუშაობას. პარტია თავის ძალებს რაზმავს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში მის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანების განსახორციელებლად, კომუნისტური მშენებლობის სტალინური პროგრამის განსახორციელებლად.

**„...პარტია,** — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **უძლეველია, თუ მან იცის, საით წარმართოს საქმე, და თუ მას სიძნელეებისა არ ეშინია“.**

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ჩვენმა პარტიამ იცის, საით წარმართოს საქმე, და წარმატებით მიჰყავს იგი, სძლევს სიძნელეებს დიადი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენს ეპოქაში მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება მთელ კაცობრიობას უნათებს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების გზას. კომუნისტური პარტია ძლიერია იმით, რომ იგი მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური თეორიით. მისი პოლიტიკა ეყრდნობა საზოგადოებრივი განვითარების კანონთა მეცნიერულ ცოდნას.

პარტიის გეგმები მომავლისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი წინსვლის პერსპექტივებსა და გზებს, ეყრდნობიან ეკონომიკური კანონების ცოდნას, ეყრდნობიან ამხანაგ სტალინის მიერ გენიალურად შემუშავებულ მეცნიერებას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ.

პარტიის ყრილობაზე გამოსული დელეგატები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის, მთელი ჩვენი პრაქტიკული საქმიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის ახლახან გამოქვეყნებულ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. ამ შრომაში ყოველმხრივ გამოკვლეულია სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონები, განსაზღვრულია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მეცნიერული საფუძვლები, ნაჩვენებია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები. ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა პროგრამული დებულებანი კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითადი წინასწარი პირობების შესახებ.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება ჩვენს პარტიას აძლევს უძლეველ ძალას, იმის უნარს, რომ გაკაფოს ახალი გზები ისტორიაში, ნათლად ხედავდეს ჩვენი წინსვლის მიზანს, უფრო სწრაფად და მტკიცედ აღწევდეს და იმკვიდრებდეს გამარჯვებებს.

ახალი ამოცანების წინაშე პარტია კიდევ უფრო განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან, აძლიერებს თავისი რიგების ბრძოლისუნარიანობას, განამტკიცებს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, აუმჯობესებს კადრების შერჩევისა და შესრულების შემოწმების საქმეს, ამაღლებს იდეოლოგიური მუშაობის დონეს. პარტია გვასწავლის სულ უფრო ფართოდ გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, მოვიშოროთ ყველაფერი, რაც აბრკოლებს და ხელს უშლის ამ საქმეს. რაც უფრო ფართოდ ჩავაბამთ მასებს მუშაობის ნაკლოვანებებთან ბრძოლაში, რაც უფრო ძლიერი იქნება ქვემოდან კონტროლი ყველა ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობისადმი, მით უფრო წარმატებით წავა ჩვენი საქმეები ყველა დარგში.

რწმენით რომ ვიაროთ წინ, კიდევ უფრო მტკიცედ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, თვითდამშვიდებისა და ბიუროკრატული თვითკმაყოფილების განწყობილების დასაძლევად, სადაც უნდა იჩინოს თავი ამ განწყობილებამ, ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ თვითკრიტიკა კომუნისტის საბრძოლო და აუცილებელი იარაღია და რომ ეს მასების თვითმოქმედების გაძლიერების ჩვენი, საბჭოთა მეთოდია.

ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით ჩვენი ძლიერი სამშობლო თავისი ძალების აყვავებას განიცდის და ახალი წარმატებებისაკენ მიდის. ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად. კომუნიზმის გზაზე წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ბრძოლას თავისი სამშობლოს აყვავებისათვის სათავეში უდგას ნაცადი და ბრძოლებში გამოწრთობილი პარტია, რომელიც განუხრელად ახორციელებს ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულია სოციალიზმის მსოფლიო ისტორიული გამარჯვება სსრ კავშირში და სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხები წარმატებით იბრძვიან ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი მიზნის განსახორციელებლად.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა ცხადყოფს პარტიული რიგების ურღვევ ერთიანობას, ურყევ სიმტკიცეს, უმაგალითო დარაზმულობას, წარმოადგენს უდიდეს მოვლენას კომუნიზმისათვის ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორიაში.

უკვდავი ლენინის დროშით, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

# საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

## ყრილობის დღიური

### 7 ოქტომბრის დილის სხდომა

7 ოქტომბერს კრემლის სასახლის დიდ დარბაზში მუშაობას განაგრძობდა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა. დილის სხდომა გაიხსნა ამხ. **ნ. ა. ბულგანინის** თავმჯდომარეობით. დღის წესრიგშია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა. თავმჯდომარე პირველ სიტყვას აძლევს ამხ. კებინს (ესტონეთის სსრ).

— ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, — ამბობს ამხ. **კებინი**, — ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მალენკოვმა შეაჯამა იმ მუშაობის შედეგები, რაც პარტიამ თავისი XVIII ყრილობის შემდგომ პერიოდში გასწია. დიდებული შედეგებია! ისინი მოპოვებულია ჩვენი პარტიის ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად. ესტონეთის კომუნისტური პარტია ბედნიერია იმით, რომ 1940 წლიდან, როგორც საბჭოთა კავშირის დიდი კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი რაზმი, მონაწილეობს ამ დიად შემოქმედებით მუშაობაში.

ამხ. კებინი საბჭოთა ესტონეთის მაგალითით ახდენს სოციალიზმის განუზომელ უპირატესობათა ილუსტრაციას, სოციალიზმისა, რომელმაც გამოავლინა მასების შემოქმედების დაუშრეტელი წყარო, ლაპარაკობს პარტიის დიდ მაორგანიზებელ როლზე და ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაზე. მოკლე ვადაში საბჭოთა ესტონეთი, დიდი რუსი ხალხისა და ყველა საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით, აგრარული ქვეყნიდან, რომელსაც ჰქონდა წვრილი ხუტორული გლეხური მეურნეობა, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყოფილი დანამატიდან, გადაიქცა დიდად განვითარებული ინდუსტრიისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. ახლად შეიქმნა მძლავრი გაზ-ფიქალის მრეწველობა.

ლაპარაკობს რა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სწრაფ ზრდაზე, ამხ. კებინი ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგ სტალინის იმ მითითების დიდ სიბრძნეს, რომ პირველხარისხოვანი ტექნიკით სოფლის მეურნეობის აღჭურვის ხარჯები შეუძლია იკისროს მხოლოდ სახელმწიფომ, რადგან თვით კოლმეურნეობები ამ ხარჯებს ვერ აიტანენ. და ესტონეთის კოლმეურნე გლეხობა მხურვალე მადლობას უძღვნის პარტიას, საბჭოთა მთავრობას ახალი თანამედროვე ტექნიკით სოფლის მეურნეობის შეიარაღებისათვის.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ამხ. **ლ. პ. ბერიას.** დიდი სტალინის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს ყრილობა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, ამბობს ამხ. ბერია, XVIII ყრილობიდან XIX ყრილობამდე განვლილ პერიოდში განსაკუთრებული ადგილი უკავია ორ მოვლენას. პირველი მათგანია დიდი სამამულო ომი. ამ ომში წყდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედისა და ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა და ხალხთა ბედის საკითხი. საბჭოთა კავშირმა დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა, სასტიკად დაამარცხა მტერი და ამით იხსნა კაცობრიობა და მისი ცივილიზაცია. საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტია, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობს. ჩვენი პარტიის, სსრ კავშირის ყველა ხალხის დიდი ბედნიერებაა, აცხადებს ამხ. ბერია დელეგატების ტაშის გრიალში, რომ ამ მძიმე პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოს და მის არმიას სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი. საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ უძლეველია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძალა და ძლიერება.

მაგრამ ისტორიის გაკვეთილები ყველამ ვერ გამოიყენა. ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც გასუქდნენ ორი მსოფლიო ომით, თავიანთი მსოფლიო ბატონობის დამყარების გიჟური იდეით გაბრუებულნი, კვლავ მსოფლიო ომის უფსკრულში აგდებენ ხალხებს, თუმცა არავითარი ეჭვი არ არის, რომ ომის გაჩაღებით ისინი დააჩქარებენ მხოლოდ თავიანთ კრახს და თავიანთ დაღუპვას. ამ სიტყვებს დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება.

მეორე უდიდეს მოვლენას პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, ამბობს ამხ. ბერია, წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა ჩვენი მრეწველობის დონე ომამდელთან შედარებით 2,3-ჯერ აგვემაღლებინა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა უკანასკნელ ორ წელიწადში 22 პროცენტით სჭარბობს პირველ და მეორე ხუთწლედში გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის მთელ მოცულობას.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც მოსმენილ იქნა დაძაბული ყურადღებით, ამხ. ბერია უძღვნის სოციალისტური ერების ისტორიაში უმაგალითო აყვავებას, რაც ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების გამოხატულებას წარმოადგენს. ახალმა სოციალისტურმა ერებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირეულად შეიცვალეს სახე და თანამედროვე მოწინავე ერებად განვითარდნენ.

რევოლუციამდე შუა აზიის სამრეწველო განვითარება არ განირჩეოდა მეზობელი ქვეყნების — თურქეთის, ირანის, ავღანეთის განვითარებისაგან. ახლა, დიდი ოქტომბრის 35 წლის შემდეგ, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი, 17 მილიონი მოსახლეობით იძლევიან სამჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ჯგუფი 156 მილიონი მოსახლეობით.

ყოველივე ეს ნათლად უჩვენებს მთელ მსოფლიოს, თუ რისი მიღწევა შეუძლიათ ხალხებს, რომლებმაც გაწყვიტეს კავშირი იმპერიალიზმთან და განთავისუფლდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობისაგან.

შემდეგ ამხ. ბერია ლაპარაკობს დიდ რუს ხალხზე, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ ძალაზე.

ამხ. ბერია თავის გამოსვლას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

— ჩვენი ქვეყნის ხალხებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ კომუნისტური პარტია, რომელიც შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანას მიიყვანს სანუკვარ მიზნამდე—კომუნიზმამდე.

ამ სიტყვებს ყრილობა მქუხარე ოვაციით ხვდება. ყველანი ფეხზე დგებიან.

ამხ. **ჩერნიშოვი** (კალინინგრადი) ლაპარაკობს, რომ ორ ყრილობას შორის განვლილი წლები ჭეშმარიტად წარმოადგენენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ახალი ტრიუმფის, ყოვლისმძლე ლენინურ-სტალინური იდეების გამარჯვების პერიოდს. გადაჭარბებულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე, განუზომლად გადიდდა საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება, ამაღლდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, გიგანტური ნაბიჯი გადაიდგა წინ კომუნიზმის გზაზე.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს იმ დიდ წარმატებებზე, რომლებიც ახალგაზრდა კალინინგრადის ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს. შეიქმნა მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, რომელიც აღჭურვილია მოწინავე საბჭოთა ტექნიკით, აღდგენილი, რეკონსტრუირებული და ახლად აგებულია ასობით საწარმო. ძირეული გარდაქმნები განხორციელდა სოფლის მეურნეობაში. შეიქმნა მსხვილი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა და სამელიორაციო სადგურები.

მშვიდობისა და ბედნიერების ნათელი განთიადი კაშკაშებს ჩვენს სამშობლოში, — ამბობს ამხ. ჩერნიშოვი, — და მთელ დედამიწაზე გზას უნათებს ჩაგრულთ და ექსპლოატირებულთ. ჩვენი ქვეყანა მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმისაკენ. ამ მიზნისაკენ ჩვენი ხალხი მიჰყავს დიდ ადამიანს, ვისი ფოლადისებური ნება გამარჯვებისა, ვისი დაუშრეტელი ენერგია აღგვაფრთოვანებს ახალი გამარჯვებებისათვის, ვინც არის პარტიის დროშა — ჩვენს ძვირფას ამხანაგ სტალინს.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

## გამოვიდა გ. მ. მალენკოვის მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობაზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა: „გ. მალენკოვი. საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“.

ბროშურის ტირაჟია 3 მილიონი ცალი. (საკდესი).

# საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას

## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენება*

ამხანაგებო!

ჩვენს ეპოქაში მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება მთელ კაცობრიობას უნათებს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების გზას.

ჩვენი პარტია ძლიერია იმით, რომ იგი მთელ თავის საქმიანობაში მარქსისტულ-ლენინური თეორიით ხელმძღვანელობს. მისი პოლიტიკა ემყარება საზოგადოებრივი განვითარების კანონების მეცნიერულ ცოდნას.

ჩვენი დიდი მასწავლებლების ლენინისა და სტალინის ისტორიული როლი იმაში მდგომარეობს, რომ ღრმად ჩასწვდნენ რა მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს და სრულყოფილად ფლობდნენ რა დიალექტიკურ მეთოდს, მათ დაიცვეს მარქსიზმი ყოველგვარი შერყვნისაგან და გენიალურად განავითარეს მარქსისტული მოძღვრება. ლენინი და სტალინი ყოველთვის, ისტორიის თვითეული ახალი მობრუნების დროს მარქსიზმს უკავშირებდნენ ეპოქის გარკვეულ პრაქტიკულ ამოცანებს, და მარქს-ენგელსის მოძღვრებისადმი თავიანთი შემოქმედებითი მიდგომით გვიჩვენებდნენ, რომ მარქსიზმი მკვდარი დოგმა კი არ არის, არამედ ცოცხალი სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის.

მარქსისტულ-ლენინური თეორია ამხანაგ სტალინის დაუცხრომელი ზრუნვის საგანს შეადგენს. მთელი უკანასკნელი პერიოდის მანძილზე ამხანაგ სტალინის თეორიული მოღვაწეობის ცენტრში დგას დამუშავება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემებისა —სოციალისტური ეკონომიკის განვითარების შესახებ, კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ. შემოქმედებითად ამდიდრებს და ავითარებს რა მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, ამხანაგი სტალინი იდეურად აიარაღებს პარტიასა და საბჭოთა ხალხს ჩვენი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის, მთელი ჩვენი პრაქტიკული საქმიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ამ შრომაში ყოველმხრივ გამოკვლეულია სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონები, გარკვეულია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მეცნიერული საფუძვლები. ნაჩვენებია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები. ეკონომიკური თეორიის საკითხთა დამუშავებით ამხანაგმა სტალინმა დიდად წასწია წინ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია.

ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა პროგრამული დებულებანი კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითადი წინასწარი პირობების შესახებ. კომუნიზმში ნამდვილი გადასვლა რომ მოვამზადოთ, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, უნდა განვახორციელოთ სულ ცოტა სამი ძირითადი წინასწარი პირობა.

„ჯერ-ერთი, საჭიროა მტკიცედ უზრუნველვყოთ ...მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა. წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა საჭიროა არა მარტო იმიტომ, რომ მან მოწყობილობით უნდა უზრუნველყოს როგორც თავისი საკუთარი საწარმოები, ისე სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგის საწარმოებიც, არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ უიმისოდ საერთოდ შეუძლებელია განხორციელდეს გაფართოებული რეპროდუქცია“. (ი. სტალინი. სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 66-67).

„მეორე, საჭიროა თანდათანობით გადასვლების გზით, რაც ისე ხორციელდება, რომ სარგებლობა მოაქვს კოლმეურნეობებისათვის და, მაშასადამე, მთელი საზოგადოებისათვის, საკოლმეურნეო საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე, ხოლო საქონლის მიმოქცევა აგრეთვე თანდათანობითი გადასვლების გზით შევცვალოთ პროდუქტების გაცვლის სისტემით, რათა ცენტრალურ ხელისუფლებას ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივ ეკონომიკურ ცენტრს შეეძლოს მოიცვას საზოგადოებრივი წარმოების მთელი პროდუქცია საზოგადოების ინტერესებისათვის“. (იქვე, გვ. 67).

რასაკვირველია, ამჟამად საქონლის მიმოქცევას და საკოლმეურნეო საკუთრებას წარმატებით ვიყენებთ სოციალისტური მეურნეობის განვითარებისათვის და მათ უეჭველი სარგებლობა მოაქვთ ჩვენი საზოგადოებისათვის. ისინი სარგებლობას მოგვიტანენ უახლოეს მომავალშიც. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ჩვენი განვითარების პერსპექტივები.

„...ვერ მივაღწევთ, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ვერც პროდუქტების სიუხვეს, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს საზოგადოების მთელი მოთხოვნილება, ვერც გადასვლას ფორმულაზე „თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“, თუ ძალაში დავტოვეთ ისეთი ეკონომიკური ფაქტები, როგორიც არის საკოლმეურნეო-ჯგუფური საკუთრება, საქონლის მიმოქცევა და სხვ“. (იქვე, გვ. 66).

სანამ სოციალისტურ ეკონომიკაში რჩება ორი ძირითადი საწარმოო სექტორი—სახელმწიფო და საკოლმეურნეო — ძალაში უნდა დარჩეს საქონლის მიმოქცევა და მისი „ფულადი მეურნეობა“, როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის სისტემის აუცილებელი და სასარგებლო ელემენტი. საქონლის წარმოებისა და საქონლის მიმოქცევის არსებობა განსაზღვრავს სოციალიზმის დროს ღირებულების კანონის არსებობასაც, თუმცა იგი ჩვენი წყობილების დროს წარმოების რეგულატორის როლს აღარ ასრულებს.

მაგრამ საქონლის მიმოქცევა, ისევე როგორც ღირებულების კანონი, მარადიული არ არის. როცა სოციალისტური წარმოების ორი ძირითადი ფორმის — საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო ფორმების — ნაცვლად გაჩნდება ერთი ყოვლისმომცველი საწარმოო სექტორი, საქონლის მიმოქცევა და მისი „ფულადი მეურნეობა“, ისევე როგორც ღირებულების კანონი, გაქრება. მარქსიზმთან საერთო არაფერი აქვს იმ ადამიანების შეხედულებებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქონლის მიმოქცევა კომუნიზმის დროსაც იქნება.

საქონლის მიმოქცევა შეუთავსებელია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერსპექტივასთან.

ამხანაგმა სტალინმა თეორიულად დაამუშავა საკითხი საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე საკოლმეურნეო საკუთრების ამაღლების ღონისძიებათა შესახებ, სახელმწიფო მრეწველობასა და კოლმეურნეობებს შორის პროდუქტების გაცვლის სისტემაზე თანდათანობით გადასვლის შესახებ. ამჟამად არსებული პროდუქტთა გაცვლის ჩანასახი, რომელიც გამოიხატება მებამბეობის, მესელეობის, მეჭარხლეობისა და სხვა კოლმეურნეობათა პროდუქციის „დასაქონლებით“, პროდუქტთა გაცვლის ფართო სისტემად განვითარდება.

„ასეთი სისტემა, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი,— მოითხოვს ქალაქის მიერ სოფლისათვის მისაწოდებელი პროდუქციის უაღრესად გადიდებას, ამიტომ მოგვიხდება იგი შემოვიღოთ ისე, რომ მაინცდამაინც არ ავჩქარდეთ, შემოვიღოთ ქალაქის ნაწარმის დაგროვების კვალობაზე. მაგრამ საჭიროა შემოვიღოთ იგი განუხრელად, უყოყმანოდ, თანდათანობით შევამციროთ საქონლის მიმოქცევის მოქმედების სფერო და გავაფართოოთ პროდუქტთა გაცვლის მოქმედების სფერო.

ასეთი სისტემა, შეამცირებს რა საქონლის მიმოქცევის მოქმედების სფეროს, გააადვილებს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლას. გარდა ამისა, იგი მოგვცემს შესაძლებლობას კოლმეურნეობათა ძირითადი საკუთრება, საკოლმეურნეო წარმოების პროდუქცია შევიტანოთ საერთო-სახალხო დაგეგმვის საერთო სისტემაში.

სწორედ ეს იქნება რეალური და გადამწყვეტი საშუალება ჩვენს თანამედროვე პირობებში საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე საკოლმეურნეო საკუთრების ასაყვანად“. (იქვე, გვ. 94).

პროდუქტების გაცვლის სისტემა უთუოდ ხელსაყრელია კოლმეურნე გლეხობისათვის, რადგან იგი სახელმწიფოსაგან მიიღებს გაცილებით მეტ პროდუქციას და უფრო იაფად, ვიდრე საქონლის მიმოქცევის დროს. ის კოლმეურნეობანი, რომლებიც უკვე ახლა სარგებლობენ „დასაქონლებით“, რაც პროდუქტთა გაცვლის სისტემის ჩანასახს ნიშნავს, გრძნობენ ამ სისტემის უდიდეს ხელსაყრელობასა და უპირატესობას. ცნობილია, რომ ასეთ კოლმეურნეობათა შორის განსაკუთრებით ბევრია მდიდარი კოლმეურნეობა.

კომუნიზმში გადასვლის ძირითადი წინასწარი პირობების მოსამზადებლად, — როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, — „საჭიროა, მესამე, მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად აირჩიონ პროფესია და მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, შრომის არსებული განაწილების გამო“ (იქვე, გვ. 68).

„ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, შემცირდეს სამუშაო დღე სულ მცირე 6 საათამდე, ხოლო შემდეგ 5 საათამდეც. ეს საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს ექნეთ საკმაო თავისუფალი დრო, რაც აუცილებელია ყოველმხრივი განათლების მისაღებად. შემდეგ, ამისათვის საჭიროა შემოღებულ იქნას საყოველთაო სავალდებულო პოლიტექნიკური სწავლება, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ექნეთ თავისუფლად აირჩიონ პროფესია და მთელ სიცოცხლეში არ იყვნენ მიჯაჭვულნი ერთ რომელიმე პროფესიაზე. მერმე, ამისათვის საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს საბინაო პირობები და მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი გადიდდეს მინიმუმ ერთიორად, თუ მეტად არა, როგორც ფულადი ხელფასის პირდაპირი გადიდებით, ისე, განსაკუთრებით, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემდგომი სისტემატური შემცირებით“. (იქვე გვ. 69).

მხოლოდ ყველა ამ ერთადაღებული წინასწარი პირობის შესრულების შემდეგ, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, შეიძლება იმედი გვქნეს, რომ შრომა მძიმე ტვირთის ნაცვლად, როგორიც იგი კაპიტალიზმის დროს იყო, საზოგადოების წევრთა თვალში გადაიქცევა პირველ საარსებო მოთხოვნილებად, ხოლო საზოგადოებრივ საკუთრებას საზოგადოების ყველა წევრი მიიჩნევს საზოგადოების არსებობის ურყევ და ხელშეუხებელ საფუძვლად. მხოლოდ ყველა ამ ერთადაღებული წინასწარი პირობის შესრულების შემდეგ შეიძლება სოციალისტური ფორმულიდან — „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს შრომის მიხედვით“ გადავიდეთ კომუნისტურ ფორმულაზე — „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“.

ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით გვაფრთხილებს, რომ მოუფიქრებლობა არ გამოვიჩინოთ, არ ავჩქარდეთ და უმაღლეს ეკონომიკურ ფორმებზე არ გადავიდეთ, თუ წინასწარ არ შეიქმნა ასეთი გადასვლისათვის საჭირო წინაპირობები.

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ისეთი დიდი სოციალური პრობლემებისა და კომუნიზმის საპროგრამო საკითხების მეცნიერული გადაჭრა, როგორიცაა დაპირისპირების მოსპობა ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, აგრეთვე დაამუშავა მარქსისტულ მეცნიერებაში ახალი საკითხი—სოციალისტურ საზოგადოებაში მათ შორის ჯერ კიდევ დარჩენილი არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის საკითხი.

ამრიგად, პარტიის გეგმები მომავლისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი წინსვლის პერსპექტივებსა და გზებს, ემყარება ეკონომიკური კანონების ცოდნას, ემყარება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერებას, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის მიერ ეკონომიკური კანონების ობიექტური ხასიათის დასაბუთებას. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ეკონომიკური განვითარების კანონები, პოლიტიკური ეკონომიის კანონები — სულერთია, საქმე ეხება კაპიტალიზმს, თუ სოციალიზმს—ობიექტური კანონებია, რომლებიც ასახავენ ეკონომიკური განვითარების პროცესს, რაც ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად ხდება. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი, გამოიყენონ საზოგადოების სასარგებლოდ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მოსპონ ძველი ან შექმნან ახალი ეკონომიკური კანონები. ეკონომიკური კანონები ადამიანთა ნებით კი არ იქმნება, არამედ ახალი ეკონომიკური პირობების ბაზაზე წარმოიშვება.

უაღრესად მცდარია იმ ადამიანთა შეხედულებანი, რომლებიც ფიქრობენ, რომ შეიძლება ეკონომიკური განვითარების კანონების შექმნა ან მოსპობა, რომ განსაკუთრებული როლის გამო, რომელიც ისტორიამ მიაკუთვნა საბჭოთა სახელმწიფოს, მას შეუძლია გააუქმოს პოლიტიკური ეკონომიის არსებული კანონები, „ჩამოაყალიბოს“ ახალი კანონები ან „გარდაქმნას“ ისინი. სოციალიზმის დროს ეკონომიკურ ცხოვრებაში ობიექტურ კანონზომიერებათა არსებობის უარყოფას მოჰყვებოდა ქაოსი და შემთხვევითობანი. ასეთ უარყოფას მოჰყვებოდა ის, რომ პოლიტიკური ეკონომია როგორც მეცნიერება მოისპობოდა, რადგან მეცნიერებას არ შეუძლია იცოცხლოს და განვითარდეს, თუ იგი არ ცნობს ობიექტურ კანონზომიერებებს, თუ არ სწავლობს ამ კანონზომიერებებს. ეკონომიკური კანონების ობიექტური ხასიათის უარყოფა სამეურნეო პოლიტიკაში ავანტიურიზმის, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკაში სრული თვითნებობის იდეური საფუძველია.

ამხანაგ სტალინის მიერ თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის აღმოჩენა უდიდესი წვლილია მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში. ძირითადი ეკონომიკური კანონი განსაზღვრავს წარმოების მოცემული წესის დედაარსს, მისი განვითარების ყველა მთავარ მხარესა და ყველა მთავარ პროცესს, იგი იძლევა გასაღებს მოცემული ეკონომიკური წყობილების ყველა კანონზომიერების გასაგებად და ასახსნელად.

ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნებია „მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დამონებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უდიდეს მოგებათა უზრუნველყოფისათვის“ (იქვე, გვ. 38). ეს კანონი გვიჩვენებს და გვიხსნის კაპიტალიზმის აშკარა წინააღმდეგობებს, ცხადყოფს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული მძარცველური პოლიტიკის მიზეზებსა და ფესვებს. ამ კანონის მოქმედება იწვევს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებას, კაპიტალისტური საზოგადოების ყველა წინააღმდეგობის გარდუვალ ზრდასა და აფეთქებას.

ლპობადი კაპიტალიზმის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს აღმავალი და განვითარებადი სოციალისტური სისტემა. ამხანაგ სტალინის მიერ აღმოჩენილი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნებია: „მთელი საზოგადოების მუდმივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და გაუმჯობესების გზით“. (იქვე, გვ. 40). ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ წარმოების სოციალისტური წესის მიზანია არა მოგება, არამედ ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი, ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მთელი საზოგადოების მუდმივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა არის სოციალისტური წარმოების მიზანი, ხოლო უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და გაუმჯობესება—მიზნის მიღწევის საშუალება. ამ კანონის მოქმედება იწვევს საზოგადოების საწარმოო ძალების აღმავლობას, მის აყვავებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტლივ ზრდას. **(ტაში).**

ამხანაგ სტალინის მიერ თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის აღმოჩენა გამანადგურებელ ლახვარს სცემს კაპიტალიზმის ყველა აპოლოგეტს. ეს ძირითადი ეკონომიკური კანონები მოწმობენ, რომ თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადამიანი ემორჩილება მაქსიმალური მოგების მიღების ულმობელ კანონს, რისთვისაც ადამიანთა ხვედრია მძიმე ტანჯვა, სიღატაკე, უმუშევრობა და სისხლისმღვრელი ომები, სოციალისტურ საზოგადოებაში მთელი წარმოება ემორჩილება ადამიანს, მის განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებებს. ამაში მდგომარეობს ახალი, კაპიტალიზმზე უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობილების — კომუნიზმის გადამწყვეტი უპირატესობა. **(ტაში).**

კომუნიზმი წარმოიშობა, როგორც მშრომელთა მილიონიანი მასების შეგნებული შემოქმედების შედეგი. თვითდინებისა და სტიქიურობის თეორია სრულიად უცხოა სოციალიზმის მთელი ეკონომიკური წყობილებისათვის. კაპიტალისტურ ეკონომიკას კონკურენციისა და წარმოების ანარქიის კანონის მოქმედების გამო ღრღნიან უმწვავესი წინააღმდეგობანი. ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების ბაზაზე, წინააღმდეგ კონკურენციისა და წარმოების ანარქიის კანონისა, ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა სახალხო მეურნეობის გეგმაშეწონილი (პროპორციული) განვითარების კანონი.

სახალხო მეურნეობის გეგმაშეწონილი განვითარების კანონი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი როდია, ხოლო დაგეგმვის ჩვენს პრაქტიკას თავისთავად არ შეუძლია მოგვცეს ჯეროვანი დადებითი შედეგები, თუ იგი ანგარიშს არ გაუწევს სოციალისტური წარმოების მთავარ ამოცანას, არ დაეყრდნობა სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს. რომ უზრუნველვყოთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა და შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვე, საჭიროა ბოლომდე დავეუფლოთ ყველა მატერიალური, ფინანსური, შრომითი რესურსის გეგმაშეწონილი და გონივრული გამოყენების ხელოვნებას, ვიხელმძღვანელოთ სახალხო მეურნეობის გეგმაშეწონილი განვითარების კანონის მოთხოვნებით და ყველაფერი შევუფარდოთ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს.

სსრ კავშირში სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემებისადმი მიძღვნილ თავის შრომებში ამხანაგმა სტალინმა ცხადყო იმ ამოცანების მთელი სირთულე, რომლებიც უნდა გადავწყვიტოთ სიძნელეებთან ბრძოლაში კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში წამოჭრილ წინააღმდეგობათა გადალახვისას.

ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა საწარმოო ძალების ხასიათისადმი საწარმოო ურთიერთობის აუცილებელი შესაბამისობის ობიექტური ეკონომიკური კანონი და დაასაბუთა მისი უდიდესი შემეცნებითი და გარდამქმნელი როლი. შორსმჭვრეტელურად გვიჩვენა რა ის პროცესები, რომლებიც ჩვენს ეკონომიკაში ხდება, ამხანაგმა სტალინმა დაგვანახვა იმ შეხედულებათა უდიდესი მცდარობა, თითქოს სოციალიზმის დროს არავითარი წინააღმდეგობა არ არის საზოგადოების საწარმოო ურთიერთობასა და საწარმოო ძალებს შორის. წინააღმდეგობანი უთუოდ არის და იქნება, რამდენადაც საწარმოო ურთიერთობის განვითარება ჩამორჩენილია და მომავალშიც ჩამორჩება საწარმოო ძალების განვითარებას. ცხადია, სოციალისტურ საზოგადოებაში საქმე ჩვეულებრივ არ მიდის საწარმოო ურთიერთობასა და საწარმოო ძალებს შორის კონფლიქტამდე, მაგრამ საშიში იქნებოდა ვერ შეგვემჩნია, რომ წინააღმდეგობანი მათ შორის არის და შეიძლება იყოს. ჩვენ ვალდებული ვართ თავის დროზე შევამჩნიოთ ეს წინააღმდეგობანი და სწორი პოლიტიკის განხორციელებით დროზე დავძლიოთ ისინი ისე, რომ საწარმოო ურთიერთობა ასრულებდეს იმ მთავარი და გადამწყვეტი ძალის როლს, რომელიც განსაზღვრავს საწარმოო ძალების მძლავრ განვითარებას.

ჩვენი წინსვლის ამოცანები ავალებს პარტიის მოღვაწეებს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის მუშაკებს, პირველ რიგში ეკონომისტებს, იხელმძღვანელონ ამხანაგ სტალინის პროგრამული მითითებებით და ყოველმხრივ დაამუშაონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხები პრაქტიკულ შემოქმედებითს მუშაობასთან განუყრელ კავშირში.

ამხანაგ სტალინის შრომები იმის მკაფიო მაჩვენებელია, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი პარტია თეორიას. რევოლუციური თეორია იყო, არის და იქნება უქრობი ჩირაღდანი, რომელიც აშუქებს ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის წინსვლის გზას კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად ავითარებს მარქსისტულ თეორიას. ამხანაგ სტალინის კლასიკურ შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ახალ, უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი მარქსიზმის თეორიის ძირეული დებულებანი საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი ხასიათის შესახებ, ყოველმხრივ დამუშავებულია საზოგადოების ეკონომიკური ბაზისისა და ზედნაშენის, საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა საკითხები, შემდგომ განვითარებულია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, როგორც კომუნიზმის თეორიული საფუძვლის მოძღვრება. ამხანაგმა სტალინმა ცხადყო ენის, როგორც საზოგადოების განვითარების იარაღის როლი, დაგვისახა ეროვნულ კულტურათა და ენათა შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ამ ნაწარმოებში ამხანაგმა სტალინმა, გაამდიდრა რა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება ახალი დებულებებით, ახალი პერსპექტივები აღმოაჩინა ცოდნის ყველა დარგის პროგრესისათვის.

ამხანაგ სტალინის შრომები ეკონომიკურ საკითხებსა და ენათმეცნიერების საკითხებზე ნიშნავს ახალ ეტაპს მარქსიზმის განვითარებაში, წარმოადგენს მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრებისადმი შემოქმედებითი მიდგომის შესანიშნავ მაგალითს. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ყოველგვარი დოგმატური მიდგომა თეორიისადმი შეუწყნარებელია და შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს მასების პოლიტიკური აღზრდის საქმეს. ამხანაგ სტალინის თეორიულ აღმოჩენებს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, ისინი აიარაღებენ ყველა ხალხს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის გზების ცოდნით და კომუნიზმისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილებით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ სტალინის თეორიული შრომების უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი გვაფრთხილებენ ზედაპირზე ტივტივის წინააღმდეგ, ღრმად სწვდებიან მოვლენებს, საზოგადოების განვითარების პროცესების თვით დედაარსს, გვასწავლიან ჩანასახში დავინახოთ ის მოვლენები, რომლებიც საქმეთა მსვლელობის განმსაზღვრელი იქნებიან, რაც იძლევა მარქსისტული განჭვრეტის შესაძლებლობას.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება ჩვენს პარტიას ანიჭებს უძლეველ ძალას, უნარს გაკაფოს ახალი გზები ისტორიაში, ნათლად ხედავდეს ჩვენი წინსვლის მიზანს, უფრო სწრაფად და მტკიცედ მოიპოვოს და შეინარჩუნოს გამარჯვებანი.

ლენინურ-სტალინური იდეები რევოლუციური თეორიის ბრწყინვალე შუქით ანათებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა ქვეყნის ხალხთა მასების ბრძოლის ამოცანებსა და პერსპექტივებს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

ამხანაგებო!

საბჭოთა სახელმწიფო ახლა უკვე აღარ არის კაპიტალისტური ქვეყნებით გარშემორტყმული განმარტოებული კუნძული. ჩვენ მივდივართ წინ დიდ ჩინელ ხალხთან ერთად **(ხანგრძლივი ტაში)**, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალმილიონიან ხალხთა მასებთან ერთად. **(ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ თანაგვიგრძნობს და მხარს გვიჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა. **(ხანგრძლივი ტაში).** მთელ ამ ძალებთან ერთად ჩვენ ვიცავთ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საქმეს.

ჩვენი ძლევამოსილი სამშობლო, რომლის ძალები იფურჩქნება, მიდის ახალი წარმატებებისაკენ. ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რაც საჭიროა სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. საბჭოთა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი დაუშრეტელია. ჩვენმა სახელმწიფომ დაამტკიცა თავისი უნარი გამოიყენოს ეს უდიდესი სიმდიდრენი მშრომელთა სასარგებლოდ. საბჭოთა ხალხმა ცხადყო თავისი უნარი ააშენოს ახალი საზოგადოება და რწმენით შეჰყურებს მომავალს. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის ხალხებს სათავეში უდგას ბრძოლებში ნაცადი და გამობრძმედილი პარტია, რომელიც განუხრელად ახორციელებს ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არის მოპოვებული სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება სსრ კავშირში და სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხები წარმატებით იბრძვიან ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აგების დიადი მიზნის განხორციელებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ძალები, რომელთაც შეეძლოთ შეაჩერონ საბჭოთა საზოგადოების წინსვლა. ჩვენი საქმე უძლეველია. საჭიროა მტკიცედ გვეჭიროს საჭე და მივდიოდეთ ჩვენი გზით ისე, რომ ვერ შეგვაფერხოს ვერც პროვოკაციებმა, ვერც დაშინებამ. **(ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).**

უკვდავი ლენინის დროშით, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

**(მოხსენების დამთავრების შემდეგ ყველა დელეგატი ფეხზე დგება, მხურვალედ მიესალმება ამხანაგ სტალინს მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით. დარბაზის ყველა კუთხიდან გაისმის შეძახილები: „ვაშა! გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „მშობლიურ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!“).**

---

* დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 238, 239, 240.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

# კამათი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

## ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა

ამხანაგებო! ყრილობისათვის მთელმა მზადებამ ცხადყო ჩვენი პარტიის უმაგალითო ერთიანობა და მონოლითურობა, მისი დარაზმულობა ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ამ მზადებამ უდიდესი ძალით გამოხატა ერთგულება, სიყვარული და დიდი მადლობა ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი იმისათვის, რომ მან ამ საანგარიშო პერიოდშიც უზრუნველყო ჩვენი პარტიისა და ქვეყნის მიერ ყველა სიძნელისა და ქარიშხლის გადალახვა და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ახალ გამარჯვებათა მოპოვება. (ტაში).

სწორედ ამ საანგარიშო პერიოდში ბელადის, მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დიდ სამამულო ომში ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს გერმანელ და იაპონელ აგრესორებზე, დაიცვეს ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გაათავისუფლეს ფაშისტების მიერ დამონებული ევროპის ხალხები და ფაშისტ დამრბევთაგან იხსნეს მსოფლიო ცივილიზაცია. ამხანაგ სტალინის მხედართმთავრულმა გენიამ უზრუნველყო ჩვენი ეს ბრწყინვალე გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე.

საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით ვადამდე შეასრულა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა და ამით გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. მთელ საბჭოთა ქვეყანაში გაჩაღდა გრანდიოზული მშენებლობა, ხორციელდება კომუნიზმის დიადი მშენებლობანი, უკვე ამუშავდა ამ მშენებლობათა პირმშო — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი მასშტაბის მშენებლობა, როგორიც ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში გაჩაღდა. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას, მათ შორის ნაქებ ამერიკასაც, არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი გიგანტური ნაგებობანი, როგორიცაა კომუნიზმის ჩვენი დიადი სტალინური მშენებლობანი. მხოლოდ საბჭოთა წყობილებას ძალუძს განახორციელოს ის, რაზეც მრავალი საუკუნის მანძილზე ოცნებობდა კაცობრიობა. ამ წარმატებებით სამართლიანად ამაყობენ საბჭოთა ხალხი, ჩვენი მეგობრები საზღვარგარეთ. მაგრამ ჩვენი ეს წარმატებანი საბჭოთა ქვეყნის მტრების, კომუნიზმის მტრების სიძულვილსა და გაბოროტებას იწვევენ. მერე რა! ჩვენ, კომუნისტებს, პირველად როდი გვესმის მტრების გააფთრებული ღმუილი.

კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბელადებსა და დამაარსებლებს — ლენინსა და სტალინს მიაჩნდათ, რომ კომუნიზმის მტრების ეს ღმუილი მხოლოდ პარტიის სიმართლეს, მისი საქმის სიმართლეს მოწმობს. მტრების გაბოროტებული ღმუილი დღესაც მხოლოდ იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ. ხომ ფაქტია, რომ საბჭოთა ადამიანებმა წინათ ჩამორჩენილი და ღატაკი ჩვენი ქვეყანა პარტიის ხელმძღვანელობით უმაგალითოდ მოკლე ვადაში გადააქციეს ყველაზე მდიდარ და მძლავრ ქვეყნად. ამის შედეგად ჩვენმა ხალხმა მოიპოვა თავისუფალი, შეძლებული და კულტურული ცხოვრება. სწორედ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში, კაცობრიობის ისტორიაში პირველად აშენდა ახალი, სოციალისტური საზოგადოება, რომელშიც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და მშრომელნი მთელი მატერიალური და კულტურული დოვლათის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი არიან.

ამხანაგებო! ჩვენი პარტიისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებაში დიდი ისტორიული მოვლენაა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ახალი კლასიკური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც ყრილობის წინ გამოქვეყნდა.

ჩვენი პარტია მარქსისტულ-ლენინურ თეორიას განიხილავს არა როგორც დოგმატების კრებულს, არამედ, როგორც მარად ცოცხალ მოძღვრებას, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით და მეცნიერების უახლესი მიღწევებით. რევოლუციური თეორიისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშს გვაძლევს მეცნიერების კორიფე—იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, რომელიც განუწყვეტლივ ავითარებს და ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმს ახალ ისტორიულ პირობებში.

ამხანაგმა სტალინმა ამ ნაშრომში ღრმად და ყოველმხრივ გადაჭრა სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ბევრი საკითხი, მოგვცა სოციალიზმის დროს ეკონომიკური კანონების ხასიათის ბრწყინვალე ანალიზი, აღმოაჩინა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, გვიჩვენა სოციალიზმის დროს საქონლის წარმოების თავისებურებანი და ღირებულების კანონის მოქმედება. ამხანაგ სტალინის ამ შრომას ახალ, უმაღლეს საფეხურზე აჰყავს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება, კომუნისტურ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს აიარაღებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების შემდგომი წარმატებითი მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ამხანაგ სტალინის ეს ნაწარმოები უდიდესი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების ნაწარმოებია, რომელსაც მეტად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი საზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელებს ხელთ აძლევს მძლავრ იდეურ იარაღს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა მალენკოვმა სტალინურ წინასწარდასახულობათა საფუძველზე გადაგვიშალა ჩვენს ქვეყანაში შემდგომი კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა. პარტიისა და ხალხის მთელი ძალები დარაზმულ უნდა იქნან ამ პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ განვლილი წლები იყო პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებათა წლები. უფრო განმტკიცდა, შედუღაბდა მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობა.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მშობლიური საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის განსაკუთრებული ყურადღებისა და ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად მეფის რუსეთის ყოფილი ჩამორჩენილი განაპირა მხარეები ახლა აყვავებულ საბჭოთა რესპუბლიკებად გადაიქცნენ. ამის მკაფიო დამადასტურებელია საბჭოთა საქართველოს უდიდესი მიღწევები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საანგარიშო პერიოდში საბჭოთა საქართველომ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და ძირეულად შეიცვალა სახე. 1939-1951 წლებში საქართველოს მრეწველობაში დაბანდებულია, თუ კაპიტალური რემონტისათვის გადადებულ სახსრებსაც ვიანგარიშებთ, 8 მილიარდ 800 მილიონ მანეთზე მეტი. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის წლები აღინიშნა რესპუბლიკის მრეწველობის ყველა დარგის სწრაფი ზრდით. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1951 წელს 1939 წლის დონეს 95,1 პროცენტით გადააჭარბა. მნიშვნელოვნად გადიდდა მარგანეცის მადნის ამოღება, რამდენჯერმე გადიდდა ქვანახშირის ამოღება, ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება გადიდდა 2,9-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება—2,3-ჯერ.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით საქართველოში აშენდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. ამან ახალი ფურცელი გადაშალა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში. ახლა საქართველო ჩვენს ქვეყანას სულ უფრო მზარდი რაოდენობით აძლევს მარგანეცს, ფოლადს, ნაგლინს, ქვანახშირს, ჩარხებს, მანქანებს, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმს, საშენ მასალებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის დახმარების მეოხებით საქართველოში აშენდა ახალი ჰიდროელექტროსადგურები. მიუხედავად ამისა, ელექტროენერგიის დეფიციტი საქართველოში ამჟამად კიდევ დიდია. მას შემდეგაც კი, რაც ჩვენში ამუშავდებიან ის ელექტროსადგურები, რომლებიც ახლა შენდება, 1955 წელს ელექტროენერგიის დეფიციტი მაინც გვექნება.

ჰიდროელექტრომშენებლობის საკითხები ჩვენთვის განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ელექტროენერგიის ნაკლებობა შეაფერხებს რესპუბლიკის მრეწველობის შემდგომ განვითარებას. ჩვენ აგრეთვე მთლიანად ვერ ვაკმაყოფილებთ ჩვენი კომუნალური და საყოფაცხოვრებო საწარმოების და მოსახლეობის მოთხოვნილებას ელექტროენერგიით. ამავე დროს ჰიდრომშენებლობის შესაძლებლობანი საქართველოში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით დიდია. ჩვენ ვთხოვთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საკავშირო მთავრობას გაითვალისწინონ საქართველოს სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზის სერიოზული ჩამორჩენა და დაგვეხმარონ გამოვასწოროთ ეს მდგომარეობა უახლოეს წლებში.

საქართველო ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი რაოდენობით აძლევს კონსერვებს, ეთეროვან ზეთებს, სამარკო ღვინოებს, კონიაკებს, შამპანურს, მინერალურ წყლებს. 1955 წელს მკვეთრად გაიზრდება კვების მრეწველობის პრო-



დუქციის გამოშვება, მაგალითად, სამარკო ღვინოები 1950 წელთან შედარებით გამოშვებულ იქნება 69,5 პროცენტით მეტი, კონიაკები—63,7 პროცენტით მეტი, ხოლო შამპანურის წარმოება აყვანილ იქნება 4 მილიონ ბოთლამდე. მკვეთრად გაუმჯობესდება ღვინოებისა და შამპანურის ხარისხი.

განსაკუთრებით დიდად განვითარდება ჩაის მრეწველობა. 1955 წელს საქართველოში უნდა დამზადდეს 161 მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც 1950 წელთან შედარებით ნიშნავს ზრდას 66,6 პროცენტით. ეს უზრუნველყოფს 1955 წელს 41 მილიონ კილოგრამზე მეტი ბაიხის ჩაის გამომუშავებას.

ამ დავალების შესასრულებლად უახლოესი წლების მანძილზე საქართველოში უნდა აშენდეს 26 ახალი ჩაის ფაბრიკა, რომლებიც წელიწადში 78 მილიონ კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს გადაამუშავებენ, და ერთი ჩაის საწნეხი ფაბრიკა.

საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ჩაის პლანტაციების სამუშაოთა მექანიზაციას. ახლანდელი მდგომარეობა ამ საქმეში პირდაპირ შეუწყნარებელია. ჩვენი ქართველი საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უკვე შექმნა შესანიშნავი მანქანები—ჩაის საკრეფი, ჩაის სასხლავი და ჩაის პლანტაციების საფუმიგაციო და დასამუშავებელი მანქანები, და საჭიროა მხოლოდ მოეწყოს ამ მანქანების წარმოება. ამისათვის აუცილებელი იქნება საქართველოში აშენდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სპეციალური ქარხანა.

ჩვენ უფრო გაბედულად უნდა ვიაროთ ჩაის მეურნეობის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის გზით. ეს არის საქართველოს ჩაის მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის გზა.

დიდი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგში. საქართველო ინდუსტრიული ქვეყანაა, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა, მას მოჰყავს სპეციალური ტექნიკური კულტურები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველო ახლა ჩვენს ქვეყანას აძლევს გაცილებით მეტ ჩაის, ყურძენს, ხილს, მაღალხარისხოვან სურნელოვან ყვითელ ქართულ თამბაქოს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს, ვიდრე ომამდე აძლევდა. საქართველოს კოლმეურნეობანი ახლა შრომადღეებზე უფრო მეტ პროდუქტებსა და ფულს ანაწილებენ. ასობით კოლმეურნეობა მილიონიან შემოსავალს იღებს. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ ბევრი ნაკლი და გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულია ახალი პასუხსაგები ამოცანები. 1957 წლისათვის საქართველომ საბოლოოდ უნდა გადაჭრას მარცვლეულის პრობლემა და თავისი თავი უზრუნველყოს საკუთარი წარმოების მარცვლეულით. ეს ამოცანა დაგვისახა ამხანაგმა სტალინმა, და საქართველოს კომუნისტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით გადაჭრან იგი.

უნდა გაშენდეს ათეულათასობით ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები, და 1955 წლის დამლევისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი მიაღწევს 71.591 ჰექტარს. ჩაის თვითეული ბუჩქის მოვლის გაუმჯობესებით მკვეთრად უნდა გადიდდეს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა. ჩვენ ვისახავთ ამოცანას—2-3 წლის შემდეგ სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოვკრიფოთ სულ ცოტა 3-3,5 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

როგორც ცნობილია, 1949-50 წლის ზამთრის მკაცრმა ყინვამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობას, კერძოდ ციტრუსოვანთა ნარგავებს, რის შედეგად ციტრუსოვანთა პლანტაციების უმეტესობა დაიღუპა. საკავშირო მთავრობამ ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიიღო დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანთა ნარგავების აღდგენისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. საქართველოს კომუნისტები ენერგიულად შეუდგნენ ამ დადგენილების შესრულებას, და უკვე ამჟამად გაშენებულია 11.012 ჰექტარი ახალი პლანტაციები, მათ შორის ლიმონი—4.984 ჰექტარი, ფორთოხალი—3.418 ჰექტარი და მანდარინი—2.610 ჰექტარი. ციტრუსოვანთა პლანტაციების აღდგენა ამხანაგ სტალინის მითითებით წარმოებს საუკეთესო ჯიშების ლიმონითა და ფორთოხლით. ლიმონის კულტურას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან ლიმონი ციტრუსოვანთა შორის ყველაზე ძვირფასი კულტურაა.

ახალი ხუთწლიანი გეგმა საქართველოში ითვალისწინებს ციტრუსოვანთა პლანტაციების ერთიორად გადიდებას. 1955 წლის დამლევისათვის ციტრუსოვანთა პლანტაციები საქართველოში 30 ათას ჰექტარს მიაღწევენ.

ყურადღება, რასაც ამხანაგი სტალინი სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებას აქცევს, ბევრ რამეს გვავალებს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ საბჭოთა კავშირში არსად არ არის საუკეთესო ჯიშების ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის მიღების ისეთი ფართო შესაძლებლობანი, როგორც ჩვენში, საქართველოშია. ვასრულებთ რა ამხანაგ სტალინის მითითებებს ციტრუსოვანთა შემდგომი განვითარების შესახებ, ვალდებულებას ვკისრულობთ უზრუნველვყოთ, რომ სახელმწიფოს ჩაბარდეს ციტრუსოვანთა ნაყოფი: 1953 წელს — 400 მილიონი ცალი, 1954 წელს — 500 მილიონი ცალი, 1955 წელს — 700 მილიონი ცალი, აქედან ლიმონი — 40 მილიონი და ფორთოხალი — 25 მილიონი, ხოლო 1957 წელს—ერთ მილიარდამდე ციტრუსოვანი ნაყოფი, მათ შორის ლიმონი — 100 მილიონი და ფორთოხალი—40 მილიონი. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას თავისი ღირსების საქმედ მიაჩნია ამ ვალდებულების შესრულება. ჩვენ საბჭოთა ადამიანს უხვად უნდა მივაწოდოთ გემრიელი, სურნელოვანი, ვიტამინებით მდიდარი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

აღმავლობის გზაზეა საქართველოს მეთამბაქოობა. საკავშირო მთავრობამ ამოცანად დაგვისახა თამბაქოს მოსავლიანობის შემდგომი გადიდება. ქართულ თამბაქოს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის თამბაქოს მრეწველობისათვის, რადგან საქართველო ჩვენს ქვეყანას აძლევს არა საერთოდ თამბაქოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მაღალხარისხოვან ყვითელ, სურნელოვან თამბაქოს. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ღირსეულად შევასრულოთ საკავშირო მთავრობის ეს დავალება.

უფრო განვითარდება მევენახეობა, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა, ეთერზეთოვანი კულტურები, კეთილშობილი დაფნა, ბამბუკი, ევკალიპტი, მუშმულა, ქართული ხურმა და მრავალი სხვა კულტურა, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობაში მოგვყავს.

საქართველოს სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანი და შრომატევადია. ეს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ავალებს მეტი ყურადღება მიაქციოს, უფრო კვალიფიციურად და კონკრეტულად უხელმძღვანელოს სოფლის მეურნეობას, ყოველდღიურად სწვდებოდეს სოფლის მეურნეობის ყველა წვრილმანსაც კი.

ჩვენი სოფლის მეურნეობა ძალიან ბევრ სასუქს მოითხოვს, რაც დღემდე საქართველოში შემოგვაქვს ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან. ამავე დროს ჩვენმა მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ღარიბი კარბონატული მადნეულისაგან, რომელსაც გზადაგზა მარგანეცის მადნიდან იღებენ, შეიძლება მივიღოთ მინერალური სასუქები, რაც ამონიუმის გვარჯილაზე უფრო კარგი ხარისხისაც კი იქნება. თუ ავაშენებთ სათანადო ქარხანას და მოვაწყობთ ამ მადნეულის გადამუშავებას, შეიძლება წელიწადში მივიღოთ 100 ათას ტონამდე მაღალხარისხოვანი სასუქი. ეს საშუალებას მოგვცემს გავათავისუფლოთ რკინიგზის ტრანსპორტი საქართველოში სასუქის შემოტანისაგან.

კოლმეურნეობათა გამსხვილებამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების მნიშვნელოვან გადიდებას, ტექნიკის უკეთ გამოყენებას, კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდას. საკოლმეურნეო წყობილებამ შეძლებული და კულტურული ცხოვრება მოუტანა ქართველ გლეხობას. საქართველოს სოფლები დაამშვენა კოლმეურნეთა ახლად აგებულმა კეთილმოწყობილმა სახლებმა, ახალმა სასკოლო შენობებმა, კლუბებმა, პარკებმა, საბავშვო ბაღებმა. საბჭოთა საქართველოს საკოლმეურნეო ყანებში, ქართველ კოლმეურნეთა სახლებში მღერიან სიმღერებს ბედნიერ შრომაზე, სიმღერებს, რომლებიც გამოხატავენ მხურვალე სიყვარულსა და ერთგულებას დიადი საბჭოთა სამშობლოსადმი, იმისადმი, ვინც გამოჭედა ხალხის ბედნიერება და თავისუფლება, საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი. (ტაში).

საქართველოში დიდი წარმატებებია მიღწეული აგრეთვე კულტურული მშენებლობის დარგში. საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანაა. ჩვენში არ არის არც ერთი ოჯახი, რომელშიც არ იყოს უმაღლესი ან საშუალო განათლების მქონე ადამიანი. ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ, ჩვენმა თეატრებმა, ფერწერამ, მუსიკამ მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია. ქართველმა ხალხმა ეს წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის და უწინარეს ყოვლისა თავისი უფროსი ძმის—დიდი რუსი ხალხის დახმარებით.

საბჭოთა საქართველოს წარმატებები იმ საერთო წარმატებათა ნაწილია, რომლებსაც ჩვენმა დიადმა სამშობლომ მიაღწია. ჩვენს ყველა გამარჯვებას ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, უნდა ვუმადლოდეთ იმას, ვისაც შეუდრეკელი ნებით და ენერგიით, მესაჭის მტკიცე ხელით მიჰყავს ჩვენი პარტია, ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, — ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, მხურვალედ საყვარელ ამხანაგ სტალინს. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა საქართველოს გაცილებით მეტი წარმატებანი ექნებოდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში რომ არ ყოფილიყო პოლიტიკური შეცდომები და ნაკლოვანებანი. უკანასკნელ ხანს კომუნისტთა ერთ ნაწილში გავრცელდა პოლიტიკური უდარდელობა და დოყლაპიობა. ეს უწინარეს ყოვლისა ხდება იქ, სადაც არ არის ჯეროვანი, ბოლშევიკური წესრიგი მუშაობაში, სადაც კადრების პოლიტიკური აღზრდის საქმე მივიწყებულია, სადაც არ არის თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა და ამით იქმნება პარადული კეთილდღეობისა და თვითდამშვიდების ნიადაგი. ასეთ პირობებში ზოგიერთი მუშაკი ავადდება პოლიტიკური სიბრმავით, კარგავს რევოლუციურ სიფხიზლეს, პოლიტიკურ ობივატელად და დოყლაპიად იქცევა. ამის შედეგად საქართველოში იყო ფაქტები, რომ ხელმძღვანელ პოსტებზე გაძვრნენ უპატიოსნო, ყალბი ადამიანები, რომლებიც პოლიტიკური ნდობის ღირსი არ არიან.

ჩვენს წინაშე დასახულია განსაკუთრებით დიდი ამოცანები. ჩვენგან მოითხოვენ, რომ შემდგომ გავაუმჯობესოთ და სრულვყოთ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე, აღმოვფხვრათ პოლიტიკური სიბეცე, უდარდელობა და დოყლაპიობა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა და ამხანაგ სტალინის პირად მითითებათა საფუძველზე გადაჭრით სპობს თავის საქმიანობაში ამ ნაკლოვანებებს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის ისე გავაჩაღოთ რევოლუციური კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომ მუდამ გახსნილი ჰქონდეს გზა ქვემოდან კრიტიკას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის გაბედულად ვამხილოთ ნაკლოვანებანი და ყველა ღონისძიებით განვამტკიცოთ პარტიის კავშირი მასებთან.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის არავითარ უარყოფითს მოვლენას არ მივცეთ საშუალება გაიზარდოს, არამედ ჩანასახშივე აღვკვეთოთ იგი, რათა სერიოზულ საფრთხედ არ გადაიქცეს. ერთს რომ დროზე დასჯი, სამაგიეროდ ასს გადაარჩენ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია პარტიის XIX ყრილობაზე მოვიდა ერთიანი და მონოლითური, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმი, ამაყი იმ შეგნებით, რომ იგი დააარსა და გამოაწრთო უკვდავი ლენინის საუკეთესო მოწაფემ—საყვარელმა ამხანაგმა სტალინმა. (ტაში).

საქართველოს კომუნისტებმა თავიანთ XV ყრილობაზე ამხილეს ყველა ნაკლოვანება და შეცდომა თავიანთ მუშაობაში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში, დასახეს მათი აღმოფხვრის გზები და განაცხადეს, რომ სავსებით მზად არიან და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მებრძოლურად შეასრულონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც პარტიამ, დიდმა სტალინმა დაგვისახეს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია გააძლიერებს პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას, სწორად აღზრდის და გაანაწილებს კადრებს, გადაჭრით გააუმჯობესებს პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობას, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს და ამით, უეჭველია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოწინავე ორგანიზაციებს შორის იქნება პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს პარტიის ჩვენს ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს დიდ ბელადს, მხედართმთავარს, ჩვენს მასწავლებელს, სულით და გულით საყვარელ და მშობლიურ ამხანაგ სტალინს! (მქუხარე ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

## ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ღ ი უ რ ი

### 7 ოქტომბრის დილის სხდომა

(დასასრული)

ცოტა ხნის შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩი.** იგი სიტყვას აძლევს ამხ. **კისელიოვს.** (დონის როსტოვი). როსტოვის ოლქმა, თქვა დელეგატმა, რომელიც ძლიერ დაზარალდა გერმანელ ფაშისტთა მიერ დროებითი ოკუპაციის შედეგად, მოკლე ვადაში აღადგინა და მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი მეურნეობა. უკანასკნელ რვა წელიწადში სახელმწიფომ ოლქის სახალხო მეურნეობაში დააბანდა რამდენიმე მილიარდი მანეთი. აღდგენილია და ახლად აშენდა ასობით შახტი და სამრეწველო საწარმო.

ამხ. კისელიოვი გვიხატავს ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელების მკაფიო სურათს. დონის წყალით მორწყული, ტყის ზოლებით დაცული დონის ნაყოფიერი მიწა მალე მოგვცემს უმაგალითო მოსავალს. გვალვიანი მიწების მორწყვა და წყალით უზრუნველყოფა დახმარებას გაუწევს ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იმავე სარწყავ ფართობებზე სამშობლოს ყოველწლიურად დამატებით მისცენ 40 მილიონი ფუთი ხორბალი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ამხ. კისელიოვი აკრიტიკებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობას სარწყავი სისტემების მშენებლობის დარგში. დელეგატმა კისელიოვმა თავისი სიტყვის დასასრულს ილაპარაკა ოლქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა და შეცდომათა ანალიზზე.

ამხ. **ნიაზოვი** (უზბეკეთის სსრ) ლაპარაკობს, რომ უზბეკეთი არის ჩვენი ქვეყნის ძირითადი ბაზა ბამბის, აბრეშუმის პარკის, კარაკულის, კენაფისა და ჯუტის წარმოების დარგში. 1951 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა მნიშვნელოვნად მეტი ბამბა, ვიდრე 1940 წელს. კოლმეურნეობათა შემოსავალი მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში გაიზარდა ერთი-სამად და მეტად. რესპუბლიკაში ამჟამად ითვლება 2 ათასამდე მილიონერი კოლმეურნეობა.

მაგრამ, აღნიშნავს ორატორი, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლომდე ვერ გამოიყენა ბამბის წარმოების გადიდების შესაძლებლობანი. კიდევ არიან ისეთი კოლმეურნეობანი, რომლებიც მცირე მოსავალს იღებენ. მთლიანად არ არის გამოყენებული მდიდარი ტექნიკა სოფლის მეურნეობაში.

შემდეგ ამხ. ნიაზოვი ლაპარაკობს უზბეკეთის მთელი რიგი ოლქების კოლმეურნეობებისა და პარტიული ორგანიზაციების თაოსნობის უდიდეს მნიშვნელობაზე, რომლებმაც გადაწყვიტეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სახსრებით, სახელმწიფოს დახმარებით დაიწყონ ათობით ათასი ჰექტარი ახალი მიწების ათვისება.

დელეგატი აკრიტიკებს სსრ კავშირის მებამბეობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს მებამბეობის შემდგომი განვითარების საკითხთა გადაჭრაში რესპუბლიკისადმი არასაკმაო დახმარების გაწევისათვის.

შემდეგ გამოსული ამხ. **გაფუროვი** (ტაჯიკეთის სსრ) ამბობს, რომ ჩვენმა პარტიამ უდიდესი მუშაობა შეასრულა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურად გამოწრთობის, მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის დარგში. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები დაეუფლნენ საბჭოთა ადამიანების შეგნებას, დიდი ენერგია განუვითარეს მათ კომუნიზმისათვის საბრძოლველად. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებმა და ამხანაგ სტალინის სახელმძღვანელო მითითებებმა აამაღლეს პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის დონე, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ნაციონალიზმს, კოსმოპოლიტიზმს და მტრული იდეოლოგიის სხვა გამოვლინებებს. შემოქმედებითმა დისკუსიებმა ფილოსოფიის, ბიოლოგიის, ენათმეცნიერების, პოლიტიკური ეკონომიის საკითხებში უდიდესი გავლენა მოახდინეს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაზე. პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ამ დღეებში ამხანაგ სტალინის ნაშრომის — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" — გამოქვეყნება.

ამხ. გაფუროვმა ამასთან ერთად აღნიშნა, რომ ტაჯიკეთის რესპუბლიკაში მუშაობა კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის დარგში არ დგას სათანადო დონეზე; იდეოლოგიურ მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი.

ილაპარაკა რა ლიტერატურის უდიდეს როლზე, ორატორმა განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანების საგმირო საქმეები ჯერ კიდევ ვერ პოვებენ ღირსეულ ასახვას. თანამედროვეობის წამყვან თემებზე ჯერ კიდევ ცოტა კაპიტალური ნაწარმოებია დაწერილი. ჩამორჩება საბჭოთა კინოც. ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის მუშაკები დაუსრულებელ დავას ეწევიან მწერლებთან იმაზე, თუ მათგან ვინ უფრო დამნაშავეა ხელოვნებისა და კინოს ჩამორჩენაში. ამ დავაზე დახარჯული დრო რომ შემოქმედებითს მუშაობას მოხმარდეს, შეიძლება ბევრი კარგი სპექტაკლი გვექნეს თეატრებში და ბევრი კარგი კინოსურათი ეკრანებზე.

ილაპარაკა რა ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ აყვავებაზე, დელეგატმა **არუთინოვმა** (სომხეთის სსრ) ხაზგასმით აღნიშნა, რომ მრეწველობის განვითარება წარმოებდა საბჭოთა კავშირის არა მარტო ცენტრალურ რაიონებში, არამედ შორეულ რაიონებშიც. ამის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს საბჭოთა სომხეთი, სადაც სწრაფად ვითარდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა. მაგალითად, სომხეთის სამრეწველო საწარმოთა საერთო პროდუქცია 1952 წელს, 1940 წელთან შედარებით ერთიოთხად გადიდდა.

შეეხო რა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, ამხ. არუთინოვმა აღნიშნა, რომ ამხანაგ სტალინის მოძღვრებამ ენის შესახებ ახალი ბიძგი მისცა სომეხი ხალხის კულტურის ზრდას და დასახა მეცნიერების, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების პერსპექტივები. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე სომხეთის პარტიული ორგანიზაცია შეაიარაღა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებებთან საბრძოლველად და დახმარება გაუწია კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის საქმეში.

ამხ. არუთინოვი თავისი სიტყვის დასასრულს ლაპარაკობს გამსხვილებულ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე.

ყრილობის დელეგატები დიდი ყურადღებით ისმენენ სამანდატო კომისიის მოხსენებას. კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **პეგოვმა** ყრილობას აცნობა, რომ, შეამოწმა რა თვითეული დელეგატის რწმუნებანი, სამანდატო კომისიამ დაადასტურა, რომ ყრილობის დელეგატთა არჩევნები ყველგან მოხდა ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებისა და დელეგატთა არჩევნების წესის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სრული შესაბამისობით. პარტიულმა კონფერენციებმა და ყრილობებმა, რომლებზეც არჩეულ იქნენ დელეგატები, ცხადყვეს ჩვენი პარტიის ურყევი ერთიანობა. მომხსენებელი ტაშის გრიალში აცხადებს, რომ ჩვენი პარტია ყრილობაზე მოვიდა ერთიანი და მძლავრი, ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავისი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული.

ყრილობაზე არჩეულია 1192 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 167 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. ისინი ყველანი ესწრებიან ყრილობას.

ამხ. პეგოვს მოჰყავს ცნობები, რომლებიც გვიჩვენებენ პარტიული რიგების უდიდეს ზრდას, რაც დამაჯერებლად მოწმობს ჩვენი პარტიული დროშის მძლავრ მიმზიდველ ძალას, საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას დიადი კომუნისტური პარტიისადმი.

ჩვენს ყრილობაზე პირველად არიან წარმოდგენილნი ოთხი ახალი მოკავშირე რესპუბლიკის — ლატვიის, მოლდავეთის, ლიტვისა და ესტონეთის, უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების, ახალგაზრდა კალინინგრადის ოლქის, სამხრეთ სახალინისა და კურილის კუნძულების პარტიული ორგანიზაციები.

მოხსენება შეიცავს ცნობებს, რომლებიც ცხადყოფენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობის ზრდას.

დელეგატთა შემადგენლობაში არიან 37 ეროვნების წარმომადგენლები, პარტიული და სახელმწიფო მუშაკები, სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის მუშაკები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ მეცნიერებისა და ტექნიკის ცნობილი მოღვაწენი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, ეკონომისტები, ექიმები, იურისტები.

დელეგატთა შემადგენლობა ცხადყოფს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა XIX ყრილობაზე გასაგზავნად აირჩიეს ჩვენი პარტიის საუკეთესო, ყველაზე აქტიური მუშაკები, ისინი, ვინც სამამულო ომის წლებში გმირულად იბრძოდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და ვინც თავდადებით შრომობს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი სტალინური პროგრამის განსახორციელებლად.

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას. (საკდესი).

### 7 ოქტომბრის საღამოს სხდომა

★ ★

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

თავმჯდომარე ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩი** სიტყვას აძლევს ამხ. **ბელიაევს** (ბარნაული).

ორატორი აღნიშნავს, რომ ალტაის მხარის მშრომელნი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომუნისტურ მშენებლობაში. ციმბირელები, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე და მთელი თავიანთი ძალები, ცოდნა და გამოცდილება მოახმარეს ზურგის გამაგრებას ომის წლებში, ახლა სასახელო საგმირო საქმეებს სჩადიან მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე.

ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტში,—განაგრძობს ორატორი, — ლაპარაკია კულუნდის ველის მიწების მორწყვისა და წყალით უზრუნველყოფისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა განხორციელებაზე. ამ ღონისძიების განხორციელება ძირეულად გარდაქმნის ალტაის მხარისა და მეზობელი ოლქების სოფლის მეურნეობას, გაადიდებს მარცვლეულის მოსავალს, ხელსაყრელ პირობებს შექმნის მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

ხალხთან პარტიის მჭიდრო კავშირზე ლაპარაკობს ამხ. **პრასი** (ქალაქი მოლოტოვი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი მოვიდა თავის XIX ყრილობაზე. საბჭოთა ადამიანებმა უყოყმანოდ და სამუდამოდ მიანდეს თავიანთი ბედი ლენინ-სტალინის პარტიას და მისი ხელმძღვანელობით მიდიან ადამიანთა ბედნიერების მწვერვალისაკენ — კომუნიზმისაკენ.

აღნიშნავს რა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის ბრწყინვალე წარმატებებს, ამხ. პრასს მაგალითად მოჰყავს დასავლეთ ურალი, სადაც განუხრელად ვითარდება მძიმე მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები. ურალის მშრომელნი, ამბობს იგი, გულითადი მადლიერებით უწოდებენ თავიანთ მადლიან მხარეს სტალინურ ურალს. მეხუთე ხუთწლედით აქ გათვალისწინებულია კამის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავება და ახალი დიდი ჰიდროელექტროსადგურის აგება კამაზე ვოტკინსკში. მაგრამ ამის შემდეგაც კი დასავლეთ ურალის ჰიდროენერგეტიკული მარაგი მხოლოდ 15 პროცენტით იქნება გამოყენებული. მოლოტოვის ოლქის მდინარეებზე, აღნიშნავს ორატორი, მიზანშეწონილია განხორციელდეს დიდი და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამხ. პრასი თავის სიტყვაში შეეხო აგრეთვე სატყეო მრეწველობის მუშაობას და მთელ რიგ სხვა სამეურნეო საკითხებს.

ამხ. **ეგოროვმა** (კარელია-ფინეთის სსრ) თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი XVIII ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში კიდევ უფრო შეესისხლხორცა ბოლშევიკურ პარტიას. შესამჩნევად ამაღლდა მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების სოციალისტური შეგნება, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატება ხალხის უმაგალითო პოლიტიკური აქტივობით და შრომითი აღმავლობით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში იზრდება და მტკიცდება კარელია-ფინეთის საბჭოთა რესპუბლიკა. კარელიაში კვალიც კი არ დარჩენილა იმისა, რაც წარსულში მას ახასიათებდა, როგორც რუსეთის მიყრუებულ განაპირა მხარეს. დიდად განვითარდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სატყეო მრეწველობა. იგი ყოველწლიურად აძლევს ჩვენს ქვეყანას მილიონობით კუბურ მეტრ ხე-ტყეს. რესპუბლიკა ახლა უშვებს თითქმის სამჯერ უფრო მეტ ქაღალდს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. იზრდება თევზჭერა, ვითარდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. მნიშვნელოვანი მიღწევებია რესპუბლიკის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის ზრდაში. რესპუბლიკის კომუნისტური პარტია თავის მუშაობაში ყოველდღიურად გრძნობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის ყურადღებას და მზრუნველობას.

შემდეგ ორატორმა გამოთქვა შენიშვნები მთელი რიგი სამინისტროების მუშაობაზე, რომლებიც საკმაოდ არ ეხმარებიან რესპუბლიკას მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში.

ამხ. **იგნატოვი** (კრასნოდარი) საბჭოთა ყუბანის ცხოვრების მაგალითებით ასურათებს პარტიის მიერ კომუნიზმის მშენებლობაში მოპოვებულ დიდ გამარჯვებებს. იგი აღნიშნავს, რომ ამჟამად ყუბანის მხარე არის ჩვენი ქვეყნის არა მარტო ერთ-ერთი დიდი ბეღელი, არამედ მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ცენტრიც. მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე მხარის სამრეწველო მშენებლობაში დაბანდებულ იქნა რამდენიმე მილიარდი მანეთი. ყუბანი ჩვენს ქვეყანას აძლევს ჩარხებს, ხელსაწყოებს, ნავთობს, ცემენტს, კონსერვებს. ამჟამად დაიწყო კამვოლ-მაუდისა და ბამბეულის კომბინატების და სხვა საწარმოთა მშენებლობა.

საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიის პოლიტიკის განუხრელი განხორციელების საფუძველზე ახალი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობაში. კოლმეურნეობათა გამსხვილებამ შესაძლებელი გახადა პირველხარისხოვანი ტექნიკის უფრო ნაყოფიერად გამოყენება, მოსავლიანობის შესამჩნევად გადიდება.

მხარის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წლითიწლობით ადიდებენ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარებას. მაგალითად, წელს ყუბანმა სახელმწიფოს ჩააბარა 23 მილიონი ფუთით მეტი ხორბალი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. იზრდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. ხვნა-თესვა უკვე მთლიანად მექანიზებულია, თავთავიანი კულტურებისა და მზესუმზირას მოსავლის აღება მექანიზებულია 99 პროცენტით და სხვ. პარტიულმა ორგანიზაციებმა აღზარდეს მექანიზატორთა შესანიშნავი კადრები. მნიშვნელოვნად ამაღლდა კოლმეურნე გლეხობის კულტურულ-ტექნიკური დონე.

ამხ. იგნატოვი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ადგილობრივი წყალის რესურსები გამოყენებულ იქნას მორწყვისა და ელექტროენერგიის მიღებისათვის. დასასრულ იგი აცხადებს, რომ კრასნოდარის მხარის კომუნისტები ყუბანის მშრომელებს დარაზმავენ იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებსაც პარტიის XIX ყრილობა დასახავს, და ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით პირნათლად შეასრულებენ მათ.

ამხ. **კორნეიჩუკი** (უკრაინის სსრ) თავისი გამოსვლის პირველ სიტყვებს უძღვნის მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის გმირულ საქმეებს, რომლებსაც ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს. ადამიანთა გულში, ამბობს ორატორი, ღვივის ყველა ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელის, საყვარელი მამისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და გულწრფელი მადლიერების მგზნებარე გრძნობა.

ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამარჯვება, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. კორნეიჩუკი, ის არის, რომ ლენინ-სტალინის დიად იდეებზე აღზრდილი საბჭოთა ხალხი ცხოვრების მასწავლებელი გახდა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის. დიდი ძველთაძველი ჩინეთის ხალხები უდიდესი პატივისცემით და მხურვალე სიყვარულით უწოდებენ მას თავის უფროს ძმას.

რუსი ხალხი, ამბობს ამხ. კორნეიჩუკი, საუკუნეების მანძილზე ძმურ დახმარებას უწევდა უკრაინას.

შემდეგ ამხ. კორნეიჩუკი ეხება საბჭოთა უკრაინის ყოველმხრივ განვითარებას და ამ აყვავებას უპირისპირებს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა შავბნელ და მძიმე ცხოვრებას, კაპიტალისტური ქვეყნებისა, სადაც კაპიტალიზმის მგლური კანონი მოქმედებს.

ორატორი მოუწოდებს სიფხიზლის გაძლიერებისა და შეურიგებლობისაკენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ოდნავი გამოვლინებისადმიც კი.

თავისი სიტყვის დასკვნით ნაწილს ამხ. კორნეიჩუკი უძღვნის საბჭოთა მწერლების მუშაობის კრიტიკულ განხილვას და პირობას აძლევს ყრილობას, რომ მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, ხელოვნების ყველა მუშაკები, რომლებმაც შექმნეს ბევრი ნაწარმოები, რომელთაც მთელი საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს და უყვარს, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაახარონ საბჭოთა სამშობლო საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მეგობრის ამხანაგ სტალინის გენიალური იდეებით გასხივოსნებული, ნიჭიერად დაწერილი ახალი ნაწარმოებებით.

ამხ. კორნეიჩუკის სიტყვის შემდეგ ცხადდება შესვენება. შემდეგ დელეგატები და სტუმრები კვლავ იკავებენ ადგილებს დარბაზში.

ყრილობა მქუხარე ოვაციით, ფეხზე მდგომი ეგებება პრეზიდიუმში ამხანაგ ი. ბ. სტალინისა და მისი ერთგული თანამებრძოლების გამოჩენას. კრემლის სასახლეში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!", „ვაშა ამხანაგ სტალინს!".

თავმჯდომარე — ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი სიტყვას აძლევს ამხ. **რაზაკოვს** (ყირგიზეთის სსრ).

იგი ლაპარაკობს, თუ რა უდიდესი წარმატებები მოიპოვა ყველა ეროვნულმა რესპუბლიკამ, ყველა სოციალისტურმა ერმა. საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების მეოხებით ყირგიზ ხალხმა უმაგალითო აყვავებას მიაღწია. მან რევოლუციური ნახტომი გააკეთა ფეოდალური წყობილებიდან სოციალიზმში, გვერდი აუარა განვითარების კაპიტალისტურ სტადიას. ორატორს მოჰყავს მკაფიო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მისი კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დიდ მიღწევებს. საბჭოთა ყირგიზეთი, ამბობს იგი, კიდევ უფრო დიდად განვითარდება ახალ ხუთწლედში!

ამასთან ამხ. რაზაკოვი შეეხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებს. მან გააკრიტიკა მთელი რიგი სამინისტროები, კერძოდ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად მიდიან ადგილებზე, პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ რესპუბლიკას კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაში.

სიტყვა ეძლევა ყრილობის დელეგატს, საბჭოთა კავშირის მარშალს, სსრ კავშირის სამხედრო მინისტრს ამხ. **ვასილევსკის**, რომელსაც ყრილობა გულთბილად ეგებება.

ამხ. ვასილევსკი ამბობს, რომ საბჭოთა არმიის ჯარისკაცები, სერჟანტები, ოფიცრები და გენერლები მთელ ხალხთან საერთო გრძნობებით ცხოვრობენ. არმიელი კომუნისტები და ყველა საბჭოთა მეომარი პარტიის XIX ყრილობას შეეგებნენ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ახალი წარმატებებით, უმაგალითოდ დარაზმულნი მხურვალედ საყვარელი ბელადისა და დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის გარშემო.

შეეხო რა შემდეგ ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის თავისებურებებს, ამხ. ვასილევსკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას დემოკრატიულ ბანაკს, მტკიცედ ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. მაგრამ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა მის სამხედრო სისუსტეს როდი ნიშნავს.

საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი განვითარების ახალი გრანდიოზული პროგრამა, დასახული მეხუთე ხუთწლიანი გეგმით, აღნიშნავს ორატორი, კვლავ ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის უდიდეს სასიცოცხლო ძალას და მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდ უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ჩვენი ხალხის მსოფლიო-ისტორიულ მონაპოვრებს, მის შესანიშნავ აწმყოსა და კიდევ უფრო დიდებულ მომავალს ფხიზლად გუშაგობს საბჭოთა არმია.

სიტყვის დასასრულს ამხ. ვასილევსკიმ თქვა:

— საბჭოთა არმიის საბრძოლო და ოპერატიული მომზადების მდგომარეობა, მისი მობილიზაციურ-საბრძოლო მზადყოფნა სრულ ეთოლებას გვაძლევს პირობა მივცეთ პარტიას, მთავრობას და პირადად ამხანაგ სტალინს, რომ საბჭოთა არმია პირნათლად შეასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის დაცვის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესების დაცვის ამოცანებს.

თავმჯდომარე ამხ. კაგანოვიჩი აცხადებს, რომ ყრილობის პრეზიდიუმში შემოვიდა წინადადება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო კამათის შეწყვეტის შესახებ. დელეგატები ერთხმად იღებენ ამ წინადადებას.

ამხ. მალენკოვი უარს ამბობს საბოლოო სიტყვაზე.

ყრილობა გადადის გადაწყვეტილების მიღებაზე. მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის დელეგატს ამხ. კაპიტონოვს შეაქვს წინადადება — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ იქნას შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა და განიხილა რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა ადგენს:

მოწონებულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა".

ამ რეზოლუციას იღებენ ერთხმად მთელი დარბაზის მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!", „დიდება დიდ სტალინს!".

ამხ. კაგანოვიჩი აცხადებს, რომ XIX ყრილობას ესწრებიან სტუმრები—უცხო ქვეყნების კომუნისტური და სხვა მოძმე მუშათა პარტიების დელეგაციები.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბოლესლავ ბერუტი, რომელსაც ყრილობა გულთბილად ხვდება. ამხ. ბერუტი ლაპარაკობს, თუ რა უდიდესი როლი და მნიშვნელობა აქვს მთელი პროგრესული კაცობრიობის ბიოისათვის იმ ისტორიულ გამარჯვებებს, რომლებსაც საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ), ბრძენი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმა მიაღწია და ახლაც აღწევს, ლაპარაკობს ახლანდელი ეპოქის სიდიადეზე, ეპოქისა, რომელსაც ორატორი სტალინურ ეპოქას უწოდებს. მან ყრილობას გადასცა სალამი პოლონეთის მშრომელთაგან, რომელნიც საბჭოთა ხალხსა და მის პარტიას უდიდეს მადლობას უძღვნიან ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის აღორძინებისათვის, იმ უანგარო ძმური დახმარებისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი პოლონელ ხალხს უწევს ომისშემდგომ წლებში. ამხ. ბერუტმა განაცხადა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია იდეურ ძალებს პოულობს საკავშირო კ. პ. (ბ) დიად საგანძურში.

• • •

ამხ. ბ. ბერუტის სიტყვის შემდეგ სხდომა დამთავრდა. ყრილობის შემდეგი სხდომა გაიმართა 8 ოქტომბერს. (საკდესი).

## კორეის ამბები

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 7 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 7 ოქტომბრის ცნობაში ნათქვამია:

დღეს კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად დასავლეთ ფრონტის ცალკეულ უბნებზე გააფთრებულ თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ.

სახალხო ჯარების საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა დღეს ჩამოაგდეს მტრის სამი და დააზიანეს ხუთი თვითმფრინავი.

## გეგმების შესრულება

**ქვემო სვანეთის რაიონმა 3 ოქტომბრისათვის შეასრულა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების წლიური გეგმა.**

**მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის განვითარების გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—102 პროცენტით, ცხვრისა—103,7, თხისა—100, ღორისა—270 და ფრინველისა—105,7 პროცენტით.**

**უხეში საკვების დაგროვების გეგმა შესრულებულია 109,3 პროცენტით.**

**უხეში საკვების დაგროვება გრძელდება.**

• • •

**წითელწყაროს რაიონმა 4 ოქტომბრისათვის 103 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების წლიური გეგმა.**

**სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარება გრძელდება.**

• • •

**კასპის რაიონის კოლმეურნეობებმა 5 ოქტომბრისათვის შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება სახელმწიფოსათვის წლიური გეგმის გადამეტებით მატყლის ჩაბარების შესახებ. ნაცვლად 150 ცენტნერისა სახელმწიფოს ჩაბარდა 165 ცენტნერი მატყლი. სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება გრძელდება.**

**ამავე რაიონის კოლმეურნეობებმა 5 ოქტომბრისათვის 102,8 პროცენტით გაანაღდეს თივის დამზადების წლიური გეგმა. თივის დამზადება გრძელდება.**

• • •

**ორჯონიკიძის რაიონმა 5 ოქტომბრისათვის 101 პროცენტით შეასრულა ხორცის დამზადების წლიური გეგმა, ხოლო რძისა—100 პროცენტით. რაიონი განაგრძობს ხორცისა და რძის დამზადებას.**

• • •

**ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებმა 5 ოქტომბრისათვის 103,3 პროცენტით შეასრულეს თივის დამზადების წლიური გეგმა.**

## საქდესის გასწორება

გაზეთ „კომუნისტის" 8 ოქტომბრის ნომრის ტირაჟის ერთ ნაწილში, საქდესის მიზეზით, ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენების თარგმანში გაპარულია შეცდომა. გაზეთის მეოთხე გვერდზე პირველი სვეტის პირველი აბზაცი უნდა იწყებოდეს ასე:

პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის... და შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქდესი.

**რედაქტორი გ. მერკვილაძე.**

მეუღლე ნინო, შვილი უჩა, მშობლები ალათი, იულონ, დები შუშანა, მარგალიტა, ძმები ვლადიმერ, დავით, ქვისლი შ. ლომთაძე ოჯახებით იუწყებიან ვალერიან იულონის-ძე იაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 12-X, 3½ ს. ბინიდან საბჭოს ქ. № 93.

**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, **განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების—3-81-84, პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის—3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03681